ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ
ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

განკარგულება:**გ-13.13221956**
თარიღი:**14/07/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის ,,ახალციხის სერვის ჯგუფი'' უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის ფორმით - უზუფრუქტით, ორგანიზაციის არსებობის ვადით, გადასცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,ახალციხის სერვის ჯგუფს“ (ს/კ 424255157) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტი (საკადასტრო კოდი: 62.09.54.768);

ბ) ქალაქ ახალციხეში, მიქუტიშვილის ქუჩის ბოლოს მდებარე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 62.09.55.361);

გ) ქალაქ ახალციხეში, მიქუტიშვილის ქუჩის ბოლოს მდებარე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 62.09.55.362);

დ) ქალაქ ახალციხეში, მიქუტიშვილის ქუჩის ბოლოს მდებარე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ობიექტები (საკადასტრო კოდი: 62.09.55.103);

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ᵇ).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი